ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03

ქ. თბილისი **10 იანვარი 2020 წ.**

ხელშეკრულების მხარეები:
ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორე მხრივ, **სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის - **თემურ მახარაძის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი მიმწოდებლისაგან ყიდულობს 1 ცალი GPRS საკონტროლო სალარო აპარატს, მოდელი: **Daisy eXpert SX** (CPV 30142200,) (შემდგომში - „საქონელი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **390 (სამას ოთხმოცდაათი ლარი და ნული თეთრი) ლარს**.
2.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ მუხლის 2.1 პუნქტში აღნიშნული სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების.
2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმწერისა და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სასაქონლო ზედნადების წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის.
2.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

3. საქონლის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესით" GPRS და crypto-ს მოდულის მქონე ფისკალური საკონტროლო სალარო აპარატისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
3.2. საქონლის საგარანტიო ვადა და მომსახურების პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული საკონტროლო სალარო აპარატის მომსახურების ხელშეკრულებით.

4. საქონლის (სსა-ს) რეგისტრაცია, მიწოდების ვადა და ადგილი.

4.1. შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი მიმწოდებლის სერვის ცენტრში წარადგენს განაცხადს სსა-ს რეგისტრაციის თაობაზე, ხოლო შემსყიდველი ახორციელებს განაცხადში მითითებულ მისამართზე სსა-ს რეგისტრაციას.
4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის განაცხადის წარდგენიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღეში განაცხადის წარდგენის ადგილზე არსებული სერვის ცენტრის ადგილზე.
4.3. საქონლის მიწოდების ადგილს წარმოადგენს ქ.ბათუმი, გორგასლის ქუჩა 136/138.

5. საქონლის მიღება - ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სამეურნეო ნაწილის გამგე - მალხაზ კონცელიძე პ/ნ 61005006700.
5.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

6. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
6.1.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
6.1.2 შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.1.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1 დროულად ჩაიბაროს საქონელი;
6.2.2 დროულად გადაიხადოს ნასყიდობის საფასური;
6.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

7. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

7.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
7.1.1 მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული ჩაბარება;
7.1.2 მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.2.1. დაარეგისტრიროს სსა შემსყიდველის სახელზე განაცხადში მითითებულ მისამართზე.
7.2.2. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
7.2.3. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეების პასუხს აგებენ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებითა და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,ფორს-მაჟორის არსებობის თაობაზე სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დამადასტურებელი ცნობის (წერილის) თანდართვით, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული გზები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.
9.4. ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ცაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს უფლება სრულად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მირების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 კალნედარული დღით ადრე.

12.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარრვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ერთ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45.
ს/კ: 406049823
ტელ: (032) 2 500 111
ელ. ფოსტაinfo@gsn.ge
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა GE70TB7114436080100001

Giorgi Tsakadze

Digitally signed by Giorgi Tsakadze
Date: 2020.01.10 17:53:10 +04'00'

შემსყიდველი:

სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

ს.კ 245 429 415

მის: ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის 49

სახელმწიფო ხაზინა

თემურ მახარაძე (დირექტორი)